ს.ს. „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი”

ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებების
სახელმწიფო შესყიდვა

ელექტრონული ტენდერის საშუალებით

CPV კოდი - 85100000

დაფინანსების წყარო: ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები

სავარაუდო ღირებულება: **130 000 (ასოცდაათი ათასი)** ლარი

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 2016 წელი

შენიშვნა:

1. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო მოცემულია ვებ-გვერდზე: **www.procurement.gov.ge**.
2. სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მოცემულია ვებ-გვერდზე: **www.procurement.gov.ge**.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 შესყიდვის ობიექტი: ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებების CPV კოდი - 851 00000 ;

2.2 მომსახურების მოწოდების ვადები, პირობა და ადგილი – ხელშეკრულების გაფორმების/ხელმოწერის დღიდან - 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, მომსახურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ მითითებულ მისამართზე, შემსყიდველისგან მოწოდებული მიმართვის ბარათის საფუძველზე.

2.3 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები:

	რადიოლოგია-კომპიუტერული ტომოგრაფია	**რაოდენობა**
1	თავის ტვინის კტ კვლევა	50
2	მუცლის ღრუს კტ კვლევა	100
3	გულმკერდის კტ კვლევა	260
4	მცირე მენჯის კტ კვლევა	25
5	ინტრავენური კონტრასტირება	70
6	წელის მალების კტ კვლევა	5
7	ხერხემლის სეგმენტის კტ კვლევა	10
8	კიდურების კტ კვლევა	5
9	კისრის მალების კტ კვლევა	5
10	კისრის მიდამოს ანგიოგრაფია დინამიური კონტრასტირებით	5
11	კისრის მიდამოს კტ კვლევა	5
12	ორბიტების კტ კვლევა	5
13	ცხვირის დანამატი ღრუების კტ კვლევა	10
14	სახის ძვლების კტ კვლევა	5
15	კონტრასტი PEROS ულტრავისტი 30020 ml	15
16	კონტრასტი PEOS უროგრაფინი 20 ml	10
17	ანესთეზია	10
18	რეანიმატოლოგის მომსახურება მართვით სუნთქვაზე მყოფი პაციენტებისთვის	30

2.4 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში ან არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის ბოლომდე. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

2.5 ჯანდაცვის ნებისმიერ სახეობაზე განხორციელებულ მომსახურებაზე პასუხი პაციენტს უნდა მიეწოდოს არაუგვიანეს 2 დღისა.

2.6 <u>თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელმა უნდა დაადასტუროს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა. ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას</u>

3. დამატებითი ინფორმაცია:

3.1 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

3.2 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში ერთეულის ფასი მოცემული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

3.4 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

3.5 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო დოკუმენტაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი ან მისი ნდობით აღჭურვილი (სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე) პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

3.6 <u>**მიმწოდებლის აპარატურა, პერსონალის კვალიფიკაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც საჭიროა აღნიშნული კვლევების მაღალ დონეზე ჩასატარებლად მიმწოდებლის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მისამართზე.**</u>

3.7 <u>**პრეტენდენს უნდა ჰქონდეს კონკრეტულ სფეროში მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება.**</u>

4. პრეტენდენტის მიერ სისტემაში სატენდერო წინადადების სახით ატვირთული უნდა იყოს:

- ფასების ცხრილი ტექნიკური დოკუმენტაციის დანართი #1-ის მიხედვით;
- პრეტენდენტის რეკვიზიტები დანართი #2-ის მიხედვით;
- უფლებამოსილი ორგანოს მიერ პრეტენდენტის სახელზე გაცემული სამედიცინო საქმიანობის განხორციელებაზე დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი).

<u>სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა ან/და დაზუსტების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #16</u>

<u>საკონტაქტო ტელ:</u> 555 39 34 64 თამარ ჩაჩხუნაშვილი

ხელშეკრულება # __

სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ

(პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი ---------- 201 წელი

ერთი მხრივ, ს.ს. **„ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი"** (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის შოთა გოგიჩაიშვილი სახით, და მეორე მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ---------- **(CPV ----------),** წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: _____ ლარი;

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიღება ჩაბარების წესი

4.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: _____

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის -#16

5.2 მიწოდება განხორციელდება _____

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 <u>შემსყიდველს უფლება აქვს :</u>

- ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე (ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი –)

6.2 <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

- უზრუნველყოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;

6.3 <u>მიმწოდებელს უფლება აქვს:</u>

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.4 <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

- მიაწოდოს შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა;

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ინსპექტირებას განახორციელებს ----------

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს;

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქარტველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების პიროებების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტხელო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით;

8.2 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს რაოდენობა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 3% შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაჭრის გზები

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ---------- და მოქმედებს ----------

მხარეთა რეკვიზიტები:

ს.ს. „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი” საიდენტიფიკაციო კოდი: 212153756 მის:ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის -#16 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ბანკი რესპუბლიკა, დელისის ფილიალი ბანკის კოდი: REPLGE22 ანგარიშის ნომ: GE12BR0000010036020037	შ.პ.ს „“ საიდენტიფიკაციო კოდი: მის: საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი: ანგარიშის ნომ:

ფასების ცხრილი

დანართი# 1

	რადიოლოგია-კომპიუტერული ტომოგრაფია	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	თავის ტვინის კტ კვლევა	50		
2	მუცლის ღრუს კტ კვლევა	100		
3	გულმკერდის კტ კვლევა	260		
4	მცირე მენჯის კტ კვლევა	25		
5	ინტრავენური კონტრასტირება	70		
6	წელის მალების კტ კვლევა	5		
7	ხერხემლის სეგმენტის კტ კვლევა	10		
8	კიდურების კტ კვლევა	5		
9	კისრის მალების კტ კვლევა	5		
10	კისრის მიდამოს ანგიოგრაფია დინამიური კონტრასტირებით	5		
11	კისრის მიდამოს კტ კვლევა	5		
12	ორბიტების კტ კვლევა	5		
13	ცხვირის დანამატი ღრუების კტ კვლევა	10		
14	სახის ძვლების კტ კვლევა	5		
15	კონტრასტი PEROS ულტრავისტი 30020 ml	15		
16	კონტრასტი PEOS უროგრაფინი 20 ml	10		
17	ანესთეზია	10		
18	რეანიმატოლოგის მომსახურება მართვით სუნთქვაზე მყოფი პაციენტებისთვის	30		

მთლიანი (საერთო) ღირებულება: _____

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

პრეტენდენტის რეკვიზიტები

1.	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	

პრეტენდენტის ხელმოწერა_____